



საქართველოს სალიზინგო კომპანია
GEORGIAN LEASING COMPANY

ობლიგაციების პრეზენტაცია

აგვისტო, 2017



- 1 **ობლიგაციების პირობები**
- 2 შპს “საქართველოს სალიზინგო კომპანიის” მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

ობლიგაციების პირობები

ემიტენტი	შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანია“ (GLC)
ობლიგაციები	არაუზრუნველყოფილი და არასუბორდინირებული ობლიგაცია
ვალუტა	აშშ \$
შეთავაზების თანხა	10,000,000 აშშ \$
ნომინალური ღირებულება	1,000 აშშ \$
განთავსების მინიმალური ლოტი	10 ობლიგაცია
ვადა	3 წელი
კუპონის განაკვეთი	წლიური 6.5%-7.25%, (განისაზღვრება book-building- ის შედეგად)*
კუპონის გადახდა	ექვს თვეში ერთხელ
გამოშვების თარიღი	2017 წლის აგვისტო
გამოშვების ფასი	ობლიგაციების ძირითადი თანხის (ნომინალური ღირებულება) 100%
შერჩეული ფინანსური დათქმები	<ul style="list-style-type: none"> ვალდებულების აღება: ჯგუფის ჯამური „ვალდებულება“, გარდა ჩვეულებრივი ბიზნეს საქმიანობის ფარგლებში წარმოშობილი არაუზრუნველყოფილი პირობითი ვალდებულებებისა, შენარჩუნებულ იქნას ჯგუფის კონსოლიდირებული აქტივების 80%-ზე (ოთხმოცი პროცენტი) დაბლა; „აკრძალული გადახდები“: როდესაც 2016 წლის 31 დეკემბერს ან შემდგომ, მაგრამ ემისიის თარიღამდე შესრულებული შეზღუდული გადახდები გადააჭარბებს: ა) ემიტენტის კონსოლიდირებული წმინდა მოგების 50% -ს; ბ) ემიტენტის მიერ 2016 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ემისიის ან სააქციო კაპიტალის გაყიდვის შედეგად, ან ემიტენტის ნებისმიერი დავალიანების მისივე სააქციო კაპიტალად კონვერტაციით ან გაცვლით მიღებული წმინდა ფულადი სახსრების 100%-ს;
შემოსავლების გამოყენება	ობლიგაციების გამოშვებით კომპანიის მიერ მიღებული წმინდა შემოსავალი გამოყენებული იქნება არსებული ობლიგაციების რეფინანსირებისთვის (ISIN: GE2700603246)
მმართველი კანონმდებლობა	საქართველოს კანონმდებლობა
ლისტინგი	საქართველოს საფონდო ბირჟა
განთავსების აგენტი	სს „გალტ & თაგარტი“

* საშემოსავლო გადასახადი ვრცელდება, თუ თავისუფალი მიმოქცევა არ არის განსაზღვრული

- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს “საქართველოს სალიზინგო კომპანიის” მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები

საქართველოს სალიზინგო კომპანიის (GLC) შესახებ


2001 წელს დაარსებული GLC პირველი კომპანია იყო საქართველოში, რომელიც მომხმარებლებს სალიზინგო მომსახურებას სთავაზობდა. 31/12/2016 მდგომარეობით მისი მთლიანი პორტფელი **37მლნ ლარს** შეადგენდა და ბაზრის საახლოებით **25%-ს** იკავებდა. 12-ზე მეტ ბიზნესსექტორში დივერსიფიცირებული პორტფელი 702 აქტიურ მომხმარებელს ითვლის. ამჟამად კომპანიას 32 თანამშრომელი ჰყავს.

2016 წელს კომპანიის შემოსავალი შედგებოდა სამი ძირითადი ბიზნეს მიმართულებისგან, ესენია:


- **კორპორაციული ლიზინგი:**
 - პორტფელი - 32 მლნ ლარი;
 - შემოსავალი - 5 მლნ ლარი;
 - საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 15%
- **პარტნიორული ავტოლიზინგი კავკასიის ავტომობილთან (CAI)**
 - დაიწყო 2015 წელს;
 - პორტფელი - 5 მლნ ლარი;
 - შემოსავალი - 0.5 მლნ ლარი;
 - საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 17%;
- **ტურბო**
 - ამოქმედდება 2017 წლის აგვისტოდან;
 - საპროგნოზო პორტფელი - 45 მლნ ლარი 2020 წლისათვის;
 - საპროგნოზო საშუალო საპროცენტო განაკვეთი - 40%;

მთლიანმა პორტფელმა 28% და 29%-იანი ზრდა აჩვენა 2015 და 2016 წლებში შესაბამისად.

შემოსავლის განაწილება, ლარი '000



პორტფელის განაწილება, ლარი '000



ძლიერი მენეჯმენტით განპირობებული ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

ბაზრის ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი

- მიმზიდველი მაკროკლიმატი: საქართველოს ბაზარი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდია აღმოსავლეთ ევროპაში;
- გაფართოების პერსპექტივა:
 - ლიზინგის სექტორი საქართველოში ჯერ კიდევ განუვითარებელია;
 - ბრენდის ავტორიტეტის გათვალისწინებით, არსებობს ახალი ინოვაციური პროდუქტების განვითარების პოტენციალი მომხმარებლების სხვადასხვა ჯგუფებისთვის (საცალო/კორპორაციული);
- დადებითი ცვლილებები აღინიშნა საგადასახადო და სამოქალაქო კოდექსებში: გამარტივებულია ლიზინგის მიმღებების საგადასახადო ადმინისტრირება, ხოლო ახლახანს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმა ლიზინგის ბაზრის შემდგომი ზრდის კარგი წინაპირობაა;

ზრდაზე ორიენტირებული ბიზნეს სტრატეგია

- შეიცვალა რისკის შეფასების მიდგომა - აქტივებზე დაფუძნებული დაფინანსება, რაც აქტივების მართვის ახალ გუნდთან ერთად მეტ მოქნობასა და რისკების უკეთეს მართვას უზრუნველყოფს;
- საბაზრო წილის ზრდა ფასდადების აგრესიული სტრატეგიით - შემცირებული საპროცენტო განაკვეთების შეთავაზებით მენეჯმენტი მომდევნო წლებში პორტფელის ზრდის დაჩქარებას გეგმავს;
- ახალ ბაზარზე შესვლა - ახალი ბრენდის „ტურბოს“ მეშვეობით კომპანია კონკურენციას გაუწევს არსებულ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს და შევა დაბალშემოსავლიან მომხმარებლებზე მორგებულ მანქანების ლიზინგის ბაზარზე, რომელიც განსაკუთრებით მომგებიანია;

სტრატეგიული პარტნიორობა

- პარტნიორობა მანქანების წამყვან იმპორტიორთან და საცალო მოვაჭრესთან;
- იმპორტის დაფინანსების სწრაფი, მარტივი და იაფი ვარიანტების შეთავაზება მსუბუქ ავტომობილებზე;
- მაღალი მოგების მარჟა;

მენეჯმენტის ძლიერი გუნდი და აქციონერთა მხარდაჭერა

- მენეჯმენტის გუნდი, ლიზინგის სექტორში ფართო გამოცდილებით;
- ძლიერი კორპორაციული მმართველობა და გაუმჯობესებული ბიზნეს პროცედურები;
- აქტიური მხარდაჭერა კომპანიის 100% წილის მფლობელი ძლიერი აქციონერისგან- სს „საქართველოს ბანკი“



სტაბილურად მზარდი პორტფელი და ბაზრის ახალი შესაძლებლობები

კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების ლიზინგი

- მოიცავს მთლიანი პორტფელის 86%-ს 2016 წლის მდგომარეობით;
- კარგად დივერსიფიცირებულია – მომხმარებლები 12-ზე მეტი ბიზნეს სექტორიდან;
- პორტფელის ზრდამ შეადგინა 11%-იანი და 17%-იანი განაკვეთები 2015 და 2016 წლებში, შესაბამისად;


ავტოლიზინგი და პარტნიორობა CAI-თან

- ახალი პროდუქტი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით;
- ექსკლუზიური კონტრაქტი მეორადი მანქანების იმპორტის და საცალო ბაზრის წამყვან მოთამაშესთან (CAI)
- საქმიანობის პოზიტიური შედეგები - მუშაობის მხოლოდ ერთწლიანი პერიოდის შემდეგ პორტფელი 5 მლნ ლარს გაუტოლდა, რაც კომპანიის მთლიანი პორტფელის 14% -ს შეადგენს;

ახალი ბრენდი „ტურბო“

- ახალი სეგმენტი: დაბალშემოსავლიან მომხმარებლებზე მორგებული მანქანების ლიზინგი, რომელიც განსაკუთრებით მაღალ მარჟინაია;
- ზრდის აგრესიული სტრატეგია: სამი ახალი ფილიალი სტრატეგიულად მნიშვნელოვან ლოკაციებზე;
- არაორგანიზებული ბაზარი ზრდის დიდი პოტენციალით კარგად მართული, ფინანსურად ძლიერი კომპანიებისთვის.


პორტფელის განაწილება , '000 ლარი



კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოების ლიზინგი - შემოსავლის ხაზი ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით

- 2016 წელს, კორპორაციული და მცირე და საშუალო ბიზნესის შემოსავლების ხაზი კომპანიის პორტფელის და შემოსავლების ძირითად ნაწილს: 86% და 91%-ს შეადგენდა შესაბამისად;
- კარგად დივერსიფიცირებული პორტფელი – კომპანიის პორტფელი 12-ზე მეტ სექტორშია გადანაწილებული;
- მნიშვნელოვანი ზრდის მიუხედავად, 2015 და 2016 წლებში აღინიშნებოდა, თანხების ჩამოწერის მნიშვნელოვანი დონე, შესაბამისად 3.1 მლნ ლარი და 0.7 მლნ ლარი. აღნიშნულის მიზეზი კომპანიის სალიზინგო პორტფელში ნაკლებად ლიკვიდური აქტივები იყო; ასევე, გარკვეულ შემთხვევებში აქტივები არაადეკვატურად იყო შეფასებული და ეს პარამეტრი ადეკვატურად არ იყო გათვალისწინებული პროდუქტის რისკის შეფასებისას.
- 2015 წლიდან, მენეჯმენტის ახალი გუნდი გადავიდა აქტივებზე დაფუძნებულ დაფინანსებაზე, რამაც აქტივების შეფასებისა და მონიტორინგის ახალ ჯგუფთან ერთად მეტი მოქნილობა უზრუნველყო და პორტფელის ხარისხიც გაუმჯობესდა. ზემოთაღნიშნული ჩამოწერები კომპანიის მენეჯმენტის მიერ ერთჯერად მოვლენად განიხილება - აქტივების შეფასების მიდგომის შეცვლის შემდეგ მსგავსი შინაარსის ტრანზაქციები მოსლოდნელი არ არის.
- ზემოთაღნიშნული ჩამოწერის შემთხვევების მიუხედავად, კორპორაციული სალიზინგო ხაზი პორტფელის სტაბილური ზრდის ტენდენციას აჩვენებდა 11% და 17%-ით 2015 და 2016 ფინანსური წლებისთვის შესაბამისად. აქტივების ჩამოწერის შედეგების გაუთვალისწინებლად ზრდის მაჩვენებელი 25% და 32%-ის ტოლია ამავე წლებში;

კორპორაციული ლიზინგის პორტფელი, 2016




პორტფელის ზრდა - კორპორაციული და მცირე და საშუალო საწარმოები

წელი	პორტფელის მოცულობა, ლარი	ზრდა %	აქტივების ჩამოწერა	ზრდა % ჩამოწერის ეფექტის გარეშე
2014	22,374,331			
2015	24,816,739	11%	3,142,972	25%
2016	31,954,666	29%	749,153	32%

ინოვაციური ავტოლიზინგის სქემა კავკასიის ავტოიმპორტთან ერთად (CAI)

- სტრატეგიული პარტნიორობა მანქანების წამყვან იმპორტიორთან - კავკასიის ავტოიმპორტთან. კომპანია მერადი ავტომობილების ერთ-ერთი უდიდესი იმპორტიორია და 2004 წლიდან არის წარმოდგენილი ბაზარზე;
- შეთავაზება: მომხმარებლებს სთავაზობენ მსუბუქი ავტომობილების იმპორტის დაფინანსების სწრაფ, ადვილ და იაფ ვარიანტებს, GLC -ს სალიზინგო მომსახურების საშუალებით მანქანების იმპორტირების გზით;
- ამასთანავე, GLC-მ და CAI-მ ერთობლივად დააარსეს ლიზინგის დაზღვევის ფონდი. აღნიშნული ფონდი უზრუნველყოფს GLC-ს რისკის დაფარვას, დეფოლტის 40%-იან ნიშნულამდე;

საილუსტრაციო მაგალითი



დეფოლტის შემთხვევა

- დეფოლტის შემთხვევაში GLC იბრუნებს ავტომობილს
- CAI უზრუნველყოფს აქტივის რეალიზაციას
- განსხვავება დაიფარება დაზღვევის ფონდიდან



„ტურბო“ – ახალი ბიზნეს მიმართულება ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალით

- მიზნად ისახავს შემოსავლების ნაკადების დივერსიფიკაციას და მომგებიანობის გაზრდას ახალ ბაზარზე შესვლის გზით, რომელსაც ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს. კომპანიის სამიზნეს დაბალშემოსავლიანი მომხმარებლების მომსახურება წარმოადგენს;
- არსებულ მოთამაშეებთან კონკურენციის მიზნით GLC კონკურენტუნარიან ფასებს შესთავაზებს კლიენტებს (საშუალო საპროცენტო განაკვეთი 40%, მაშინ, როცა ბაზრის საშუალო განაკვეთი 60%-ია);
- „ტურბოს“ პირველი ფილიალი 2017 წლის აგვისტოში გაიხსნება, მას მოჰყვება 2 ფილიალი 2018 წელს, ხოლო 2019 წელს - ერთი.

რას საქმიანობს ტურბო?

დაბალშემოსავლიანი მომხმარებელი



დეფოლტის შემთხვევაში, ავტომობილის რელიზაცია მოხდება მნიშვნელოვანი ფასდაკლებით ან გაიცემა ლიზინგით ახალ მომხმარებელზე მინიმალური თანამონაწილეობით

შექმნილი შესაძლებლობები	შედეგი
გაცილებით მაღალი მარჟები, საშუალო წლიური განაკვეთი - 40%	პორტფელის და შემოსავლის დაჩქარებული ზრდა
ფილიალები ოთხ ახალ ლოკაციეზე, ონლაინ გაყიდვის შესაძლებლობა	უკეთესი კომუნიკაცია მომხმარებელთან, კლიენტების გაზრდილი რაოდენობა
დეფოლტის შემთხვევაში უზრუნველყოფა - მსუბუქი ავტომობილი	მეტი ლიკვიდურობა, საკუთრებაში არსებული აქტივის მართვის სიმარტივე
ახალი ბრენდი, მორგებული მომხმარებლების განსხვავებულ ჯგუფზე - დაბალშემოსავლიანი მომხმარებლები;	უფრო დივერსიფიცირებული პორტფელი და ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი
კომპანიის გაზრდილი ცნობადობა ახალი ბრენდის რეკლამირებისთვის ჩატარებული მარკეტინგული ღონისძიებების შედეგად;	მომხმარებლების გაზრდილი რაოდენობა, პორტფელის სამომავლო ზრდის პოტენციალი;


- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები



დარგის მიმოხილვა – ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი


საქართველოს ლიზინგის სექტორის მთლიანი პორტფელი 2016 წელს 55.2 მლნ აშშ \$ შეადგენდა (მშპ-ს 0.4%)

ლიზინგის ბაზრის განვითარება მლნ აშშ \$-ში



- 2007 წელს საქართველოს ლიზინგის ბაზრის ბიუჯეტი 47 მლნ ლარი იყო. რუსეთ-საქართველოს 2008 წლის კონფლიქტმა სერიოზული ნეგატიური გავლენა მოახდინა აღნიშნულ სექტორზე - 2009-2011 წლებში ბაზარი განახევრდა, თუმცა სტაბილური დარჩა;
- 2011 წელს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ საქართველოს სალიზინგო სექტორი გაიზარდა და 2014 წელს კრიზისის წინანდელ დონეს მიაღწია. ახალი კანონმდებლობის თანახმად კომპანიებს მეტი სტიმული გაუჩნდათ ლიზინგისთვის, რადგან გაიზარდა საგადასახადო მოქნილობა და გამარტივდა საგადასახადო პროცედურები ლიზინგის მიმღებებისთვის, შემცირდა ეფექტური საგადასახადო განაკვეთები ლიზინგის გამცემებისა და ლიზინგის მიმღებებისთვის, რაც განპირობებული იყო ლიზინგის ბუღალტრულ აღრიცხვაში შეტანილი ცვლილებებით;

ლიზინგის ბაზრის პორტფელი დარგების მიხედვით, 2016 წ




- მშენებლობა, მომსახურება, მედიცინა, წარმოების და ვაჭრობის სექტორები ყველაზე ფართოდ იყენებენ სალიზინგო მომსახურებას;
- GLC-ს პორტფელი 12-ზე მეტი ინდუსტრიისგან შედგება. კომპანია ბაზრის საერთო წილის დაახლოებით 25%-ს ფლობს 31/12/2016-ის მდგომარეობით.


დარგის მიმოხილვა –ზრდის მნიშვნელოვანი პოტენციალი, გაგრძელება

- საქართველოში ბიზნესების უმეტესობა მცირე და საშუალო ზომის ადგილობრივი საწარმოებია, რომლებიც ვაჭრობისა და მომსახურების სფეროებში საქმიანობენ. 2006 წლიდან მოყოლებული რეგისტრირებული ფირმების რაოდენობა იზრდება. ბოლო 10 წლის განმავლობაში მშპ-ის მკვეთრი ზრდის ფონზე მათი რიცხვი გასამმაგდა.
- ეკონომიკის ზრდის მომავალი წლების პროგნოზი მცირე და საშუალო ბიზნესის შემდგომი გაძლიერების და შესაბამისად, ლიზინგზე მოთხოვნის მატების მოლოდინს აჩენს.

მცირე და საშუალო საწარმოების მიერ შექმნილი დამატებული ღირებულება, მილიონი აშშ დოლარი



მცირე და საშუალო საწარმოების წილი მთლიან ბრუნვაში, წარმოება და დასაქმება



- ბოლო 10 წლის განმავლობაში, მცირე და საშუალო ზომის საწარმოებმა, რომლებიც ლიზინგზე მოთხოვნის ზრდის ძირითადი გენერატორები არიან, თავიანთი ბრუნვა 4.5-ჯერ გაზარდეს, რამაც 2016 წელს 4.2 მილიარდ აშშ დოლარს მიაღწია.
- მოსალოდნელია ნომინალური მშპ-ის მატება ამჟამინდელი \$ 14.3 მილიარდიდან \$ 23.5 მილიარდამდე (60%-ზე მაღალი ზრდა), რაც შესაბამისი მცირე და საშუალო ზომის საწარმოების ზრდას გამოიწვევს.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოები მოსახლეობის შეუსაბამოდ დიდ წილს ასაქმებს მათსავე შემოსავლიანობასთან და წარმოების მოცულობასთან მიმართებაში. 2016 წლის მე-4 კვარტალში ამ საწარმოებში მთელი სამუშაო ძალის 38.7% იყო დასაქმებული მიუხედავად იმისა, რომ მთლიან ბრუნვასა და წარმოებაში მათი წილები მხოლოდ 19% და 20% იყო შესაბამისად. ეს სხვაობა ასახავს მცირე და საშუალო საწარმოებში იმ ახალი ტექნოლოგიების გამოყენების დაბალ მაჩვენებლებს, რომლებიც შექმნილია შრომის ეფექტიანობის ასამაღლებლად; ეს კი, თავის მხრივ, მიუთითებს ლიზინგის ინდუსტრიის შემდგომი ზრდის შესაძლებლობების არსებობაზე.

- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიის“ მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები



საბალანსო უწყისი 4 წლიანი ბიზნეს მოდელით

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდირებული)		ბიზნეს მოდელის მიხედვით			
	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ აქტივები	45,314	51,158	68,391	91,862	114,493	131,175
საიდანაც						
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება	26,273	32,612	48,331	74,976	100,222	118,970
კორპორაციული	26,207	31,955	37,904	43,942	52,029	58,342
საცალო (CAI)	2,533	5,054	13,101	20,994	26,552	29,442
ტურბო	-	-	4,540	17,365	29,051	38,647
აქტივები სალიზინგო მიზნებისათვის	8,858	11,156	10,145	9,524	9,584	10,276
სულ ვალდებულებები	40,631	47,595	51,521	71,245	83,776	84,290
საიდანაც						
დასაფარი სესხები	15,815	17,729	20,592	40,313	52,811	79,719
გამომწვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22,696	26,905	26,396 ¹	26,396	26,396	- ²
სულ კაპიტალი	4,683	3,563	16,870	20,617	30,717	46,886
საიდანაც						
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180	3,190	3,190	3,190	3,190
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	-	-	12,004 ¹	12,004	12,004	12,004
გაუნაწილებელი მოგება	5,656	1,553	424	917	4,664	14,763
პერიოდის წმინდა მოგება/(ზარალი)	(4,102)	(1,130)	493	3,747	10,099	16,169

¹ კაპიტალი მნიშვნელოვნად გაზრდილია იმის გამო, რომ სს საქართველოს ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის მეორე კვარტალში, სესხი მთლიანად, დარიცხული პროცენტის ჩათვლით გადაკონვერტირდა კაპიტალში 12,004 ათასი ლარის ოდენობით.

² 2020 წლისათვის გამომწვებული ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები) ბიზნეს მოდელის მიხედვით რეფინანსირებული იქნება მოზიდული სესხების მეშვეობით


ხელშემწყობი აქციონერი – კაპიტალის გაუმჯობესებული სტრუქტურა

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდირებული)		ბიზნეს მოდელის მიხედვით			
	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ ვალდებულებები	40,631	47,595	51,521	71,245	83,776	84,290
საიდანაც						
დასაფარი სესხები	15,815	17,729	20,592	40,313	52,811	79,719
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	22,696	26,905	26,396	26,396	26,396	-
სულ კაპიტალი	4,683	3,563	16,870	20,617	30,717	46,886
ვალის კაპიტალთან შეფარდება	8.7	13.4	3.1	3.5	2.7	1.8

- როგორც აქტივების ზღვრულად დამოკიდებულ ბიზნესს, კომპანიას სჭირდება მსხვილი თანხით დაფინანსება, რათა ხელი შეუწყოს სალიზინგო აქტივების პორტფელის ზრდას, დააფინანსოს საკუთარი ოპერაციები და დაფაროს ვალეები.
- კომპანიის მთლიანი ვალდებულებები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 47.6 მილიონი ლარი, ხოლო 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40.6 მილიონი ლარი იყო, რის შედეგადაც მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდება, შესაბამისად, 8.7x და 13.36x შეადგინა.

- სს „საქართველოს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით, 2017 წლის ივლისში, კომპანიის სააქციო კაპიტალი 5 მილიონი აშშ დოლარით გაიზარდა დაუფარავი სუბორდინირებული ვალის და დარიცხული პროცენტის კონვერტაციის გზით.
- 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სუბორდინირებული ვალი 12,002 ათას ლარს შეადგენდა, დარიცხული პროცენტის ჩათვლით.
- კაპიტალის ეს ინექცია კომპანიის მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდებას 3.05-მდე ამცირებს.
- მენეჯმენტი მოელის, რომ 2020 წლისთვის ეს შეფარდება კიდევ უფრო, 1.80-მდე დაიკლებს, რაც ამ ინდუსტრიისთვის ძალიან დაბალი მაჩვენებელია.
- გაკეთებულია დაშვება, რომ ობლიგაციები, რომელთა დაფარვის ვადა 2020 წელია, საბანკო კრედიტით დაფინანსდება. თუ გავითვალისწინებთ კომპანიის მთლიანი ვალის კაპიტალთან შეფარდების პროგნოზს 2020 წლისთვის, ობლიგაციების დაფარვა, შესაბამისი ვადის დადგომისას, კომპანიისთვის პრობლემა არ უნდა იყოს.

ვალდებულებების განაწილება, '000 ლარი



მოგება-ზარალის უწყისი 4 წლიანი ბიზნეს მოდელით

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ისტორიული (აუდიტირებული)		ბიზნეს მოდელის მიხედვით			
	2015	2016	2017	2018	2019	2020
სულ საპროცენტო შემოსავალი	5,752	6,586	9,938	18,082	27,494	35,987
ზრდის მაჩვენებელი %		14%	51%	82%	52%	31%
საიდანაც						
კორპორაციული			6,362	5,298	5,860	6,843
საცალო (CAI)			1,335	3,160	4,257	4,966
ტურბო			405	4,597	9,538	13,788
საპროცენტო ხარჯი	(3,345)	(3,765)	(3,889)	(3,973)	(4,790)	(5,901)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2,094	4,039	6,918	14,110	22,704	30,085
წმინდა საპროცენტო შემოსავლის მარჟა %	36%	61%	70%	78%	83%	84%
სხვა საოპერაციო არა-საპროცენტო ხარჯები	(6,059)	(3,983)	(4,647)	(6,565)	(8,310)	(9,738)
საიდანაც						
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგოები	(404)	(1,043)	(1,300)	(1,519)	(1,777)	(1,933)
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,512)	(2,191)	(2,118)	(2,947)	(4,176)	(5,257)
სალიზინგო მიზნებისთვის არსებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე	(3,143) ¹	(749) ¹	-	-	-	-
საოპერაციო შემოსავალი	(3,965)	56	2,271	7,545	14,394	20,347
საოპერაციო შემოსავლის მარჟა %	N/A	1%	23%	42%	52%	57%
სხვა შემოსავალი/(ხარჯი)	(137)	(1,186)	(1,778)	(3,798)	(4,294)	(4,178)
საიდანაც						
გაუფასურების ხარჯი	(474)	(459)	(1,736)	(3,270)	(3,336)	(3,366)
საგადასახადო ხარჯი/(ბენეფიტი)	337	(727)	-	-	-	-
წლის მთიანი წმინდა მოგება/(ზარალი)	(4,102)	(1,130)	493	3,747	10,099	16,169

¹ აქტივები ლიზინგის მიზნებისთვის ჩამოიწერა 3.1 მილიონი ლარისა და 0.7 მილიონი ლარის ოდენობით 2015 და 2016 წლებში შესაბამისად. შედეგად, არსებული აქტივები შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით (რაც მისაღებია კომპანიის ამჟამინდელი აუდიტორებისთვის) და მომავალში მნიშვნელოვანი ჩამოწერები აღარ არის მოსალოდნელი.

ზრდის ძირითადი გენერატორები

თანხები გამოსახულია ლარებში (ათასი)	ფაქტობრივი (აუდირებული)		პროგნოზირებული				CAGR
	2015	2016	2017	2018	2019	2020	2017 - 2020
მთლიანი პორტფელი (წინასწარი გადახდების ჩათვლით)	28,740	37,009	55,545	82,300	107,632	126,431	32%
კორპორაციული	26,207	31,955	37,904	43,942	52,029	58,342	15%
კავკასიის ავტო იმპორტი	2,533	5,054	13,101	20,994	26,552	29,442	31%
ტურბო	-	-	4,540	17,365	29,051	38,647	104%

კორპორაციული

CAI

ტურბო

2020 წლისთვის , '000 ლარი:

- საშუალო საპროცენტო შემოსავალი: 6,843
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 58,341
- წილი მთლიან პორტფელში: 46%

2020 წლისთვის , '000 ლარი:

- საშუალო საპროცენტო შემოსავალი: 4,966
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 29,442
- წილი მთლიან პორტფელში: 23%

2020 წლისთვის , '000 ლარი:

- საშუალო საპროცენტო შემოსავალი: 5,303
- პორტფელის მთლიანი მოცულობა: 38,647
- წილი მთლიან პორტფელში: 31%

- კორპორაციულ პორტფელზე საპროცენტო განაკვეთის შემცირება 15%-დან 13%-მდე, რის შედეგადაც გაიზარდა პორტფელი და საპროცენტო შემოსავალი გრძელვადიან პერსპექტივაში;
- აქტიური მარკეტინგული სტრატეგია პროდუქტის ცნობადობის გასაზრდელად;
- აქტივზე დაფუძნებული დაფინანსების სქემა;

- დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობები ბრენდის ცნობადობის გასაუმჯობესებლად, რომელიც ახლა მიმდინარეობს; (ორივე კომპანიის მონაწილეობით)
- პროდუქტი ამჟამად პროდუქტის სასიცოცხლო ციკლის ზრდის ეტაპზეა და ამრიგად, მოსალოდნელია მომგებიანობის მნიშვნელოვანი ზრდა;

- დაგეგმილი მარკეტინგული აქტივობები ბრენდის ცნობადობის გასაზრდელად;
- მომხმარებელთა სრულიად ახალი სეგმენტის მოზიდვა;
- მაღალი შემოსავლები ლიკვიდური გიროთი;

მართული რისკები ხარჯების პროგნოზირების კონსერვატიულ მიდგომასთან ერთად


- კომპანიის ხარჯების ძირითადი ნაწილი საპროცენტო ხარჯია -3,7 მილიონი ლარი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- დამატებითი თანხების სესხება 8%-იანი განაკვეთით არის პროგნოზირებული, რაც ბაზარზე ამჟამად არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მენეჯმენტის პესიმისტური დაშვებაა

- ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებებისთვის გაუფასურების რეზერვმა ლიზინგის მთლიანი დებიტორული დავალიანებების 1.41% შეადგინა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- პორტფელის რისკის განაკვეთი, (PAR rate), 2015 წლის 22.21%-დან 2016 წელს 9.98%-მდე შემცირდა;
- ლიზინგის დანაკარგებისთვის რეზერვირებული იქნა ლიზინგის დებიტორული დავალიანებების 3.32% და 2.81%, შესაბამისად, 2015 წლის 31 დეკემბრის და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. რისკის შერბილებას უკეთეს სექმაზე გადასვლის მიუხედავად, კომპანია რეალისტურ მიდგომას იყენებს და დებიტორული დავალიანებების 2.34%-ის რეზერვირებას ახდენს 2017 წლის პირველ კვარტალში.


- კომპანიის უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის დანაკარგებმა დაახლოებით 410 ათასი ლარი შეადგინა 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.
- კომპანიამ გამოიყენა კონსერვატიული მიდგომა 2017-2020 წლების ციფრების პროგნოზირებისთვის და უცხოური ვალუტის გაცვლის კურსი 2.60/1 (ლარი/აშშ დოლარი) შეფარდებით დაგეგმა

- წინა წელთან შედარებით, 2016 წელს ხელფასები და დასაქმებულთა სხვა სარგებელი 0.6 მილიონი ლარით გაიზარდა, რადგან 2015 წელს გაცემული დასაქმებულთა პრემიების საბუღალტრო გატარება 2016 წელს მოხდა. აღნიშნულის კორექტირებით, ხელფასების და დასაქმებულთა სხვა სარგებლის ხარჯები 274,000 ლარითაა ფაქტობრივად გაზრდილი, რაც დასაქმებულთა რაოდენობის ზრდით აიხსნება.
- დაგეგმილია ხელფასების და დასაქმებულთა სხვა სარგებლის 16%-იანი ზრდა არის აღებული, რაც შესაბამისობაშია პორტფელის შემდგომ ზრდასთან.

ხარჯების გადანაწილება ტიპების მიხედვით, 2016



PAR-ის დინამიკა, წლიურად



- 1 ობლიგაციების პირობები
- 2 შპს საქართველოს სალიზინგო კომპანიის მიმოხილვა
- 3 ინდუსტრიის მიმოხილვა
- 4 ბიზნეს მოდელი და მნიშვნელოვანი ფინანსური ინფორმაცია
- 5 **დანართი 1: ისტორიული აუდირებული ფინანსური ანგარიშგებები**



კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი (აუდირებული)

საბალანსო უწყისის მონაცემები, 000' ლარი	2016	2015
ფული და ფულადი ეკვივალენტები	676	2,314
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: გასაყიდი	41	1,829
ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანება	32,612	26,273
აქტივები სალიზინგო მიზნებისათვის	11,156	8,858
წინასწარი გადახდა სალიზინგო მიზნებისათვის არსებულ აქტივებზე	3,259	1,391
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივები	632	609
გადავადებული მოგების გადასახადის აქტივები	-	726
საინვესტიციო ქონება	2,488	2,488
სხვა აქტივები	295	827
სულ აქტივები	51,159	45,315
დასაფარი სესხები	17,729	15,815
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	26,905	22,696
კლიენტებისგან მიღებული ავანსები	2,079	1,904
დღგ და სხვა დასაფარი გადასახადები	434	-
სხვა ვალდებულებები	449	217
სულ ვალდებულებები	47,596	40,632
საწესდებო კაპიტალი	3,180	3,180
დამატებითი გადახდილი კაპიტალი	2,473	2,473
(აკუმულირებული ზარალი) / გაუნაწილებელი მოგება	(2,104)	(975)
სხვა რეზერვი	14	5
სულ კაპიტალი	3,563	4,683
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	51,159	45,315



კონსოლიდირებული მოგება-ზარალის უწყისი (აუდირებული)

მოგება-ზარალის უწყისი მონაცემები, 000' ლარი	2016	2015
საპროცენტო შემოსავალი ლიზინგებიდან	6,586	5,752
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები: გასაყიდი	19	107
საბანკო დეპოზიტები	-	69
ფული და ფულადი ეკვივალენტები	71	144
დასაფარი სესხები	(1,500)	(1,239)
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(2,266)	(2,106)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2,910	2,727
გაუფასურების გადასახადი ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანებისთვის	(459)	(474)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი ფინანსური ლიზინგის დებიტორული დავალიანების გაუფასურების გადასახადის შემდეგ	2,451	2,253
შემოსავლები ფინანსური ლიზინგის დებიტორულ დავალიანებაზე ჯარე	985	987
საინვესტიციო ქონების გაქირავებიდან შემოსავალი	169	169
წმინდა ზარალი საინვესტიციო ქონების გადაფასების შედეგად	-	(199)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტის კონვერტაციიდან	(409)	(2,171)
სხვა შემოსავალი	383	580
საოპერაციო შემოსავალი	3,579	1,619
სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(2,191)	(2,512)
ხელფასები და თანამშრომლების სხვა სარგებელი	(1,043)	(404)
სალიზინგო მიზნებისთვის არსებული აქტივების ჩამოწერა წმინდა სარე:	(749)	(3,143)
საოპერაციო ხარჯები	(3,983)	(6,059)
ზარალი მოგების გადასახადის ხარჯამდე	(404)	(4,440)
მოგების გადასახადი (ხარჯი)/სარგებელი	(727)	337
წლის წმინდა ზარალი	(1,131)	(4,103)
სხვა სრული შემოსავალი, რომელიც ექვემდებარება მომდევნო პერიოდების მოგებად ან ზარალად რეკლასიფიკაციას არარეალიზებული მოგება გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	14	6
რეალიზებული მოგება გასაყიდად არსებულ საინვესტიციო ფასიან ქაღალდებზე	(6)	-
მოგების გადასახადის ეფექტი	1	(1)
წლის სხვა სრული მოგება, გადასახადის გარეშე	9	5
წლის სრული ზარალი	(1,122)	(4,098)